პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2025 წლის_ _ აპრილი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“-ს ანგარიში 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“-ს“ ანგარიში 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“-ს მიერ 2024 წელის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
"წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
დასუფთავების ცენტრი"

წერილის ნომერი: **14-4825100102**
თარიღი: **10/04/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" სამსახურის ანგარიში

2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ

ბატონო თეიმურაზ,

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების" რეორგანიზაციის (დაყოფის) გეგმის დამტკიცების თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 26 თებერვლის № ბ48.48240572 ბრძანებით მოხდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების (421277772). გაყოფა, გაყოფის შედეგად ჩამოყალიბდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი'' (ს/კ 421283104)

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი ეწევა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების (ქუჩები და მოედნები) დაგვა-დასუფთავებას, ანახვეტისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ქალაქგარეთ სპეციალურ ნაგავსაყრელზე გატანას, აგრეთვე განსაზღვრულ ტერიტორიებზე ნაგვის ბუნკერების განთავსებას. სამსახური ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს თხოვების ფორმით გადმოცემული შვიდი საბუნკერე და ორი მცირე თვითმცლელი სპეცავტომანქანით, რომლებზეც თვეში საშუალოდ იხარჯება მინიმუმ 8000 და მაქსიმუმ 8500ლიტრი დიზელის საწვავი. მეეზოვეების მიერ ყოველდღიურად, დილა-საღამოს, იგვება ქალაქის ქუჩები და მოედნები. სამსახურის სამოქმედო ტერიტორიაზე (ქვიტირი-ფარცხანაყანევის, კოპიტნარის, ბროწეულას, ვარციხესის, გუმბრინის, ბანოჯის, გეგუთის, პატრიკეთის, ტყაჩირის, ოფშკვითის, საყულიის, ქვილიშორის, ჩუნეშის, ხომულისა და გვიშტიბის) განთავსებული ნაგვისშემკრები კონტეინერებიდან და საერთო საცხოვრებლების ბუნკერებიდან ყოველდღიურად ხდება დაახლოებით 50-55 ტონა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების გატანა. ყოველდღიურად იწმინდება გზების და გზატკეცილების მიმდებარე

ტერიტორიები. კერძოდ, პრომეთეს მღვიმის მიმდებარე ტერიტორია, წყალტუბო-ქუთაისის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია სათაფლიის ნაკრძალის ჩათვლით, ქუთაისი-ხონი-მაღლაკის მონაკვეთის ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორია, მაღლაკი-სალიის გზის მონაკვეთი, ქუთაისი-კოპიტნარის ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორია აეროპორტის ჩათვლით, სოფელ გვიშტიბის, გეგუთის საყულიის მონაკვეთი, წყალტუბოს სამაკაშვილის ქუჩის,ბარათაშვილისა და რუსთაველის გამზირის კერძოდ, ძველი რკინიგზისა და იუსტიციის სახლის ტერიტორია ტყის ჩათვლით, პარკის ტერიტორიის დამაკავშირებელი თეთრი ხიდისა და ევროპის ხიდის ჩავლით.
პერიოდულად ხორციელდებოდა ქვიტირი-ფარცხანაყანევის, კოპიტნარის, ბროწეულას, ვარციხე, გეგუთის, პატრიკეთის, ტყაჩირის ოფშკვითის, საყულიის, გუმბრინის, ბანოჯის, ხომულის, ქვილიშორის ჩუნეშის და გვიშტიბის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერებიდან და საერთო საცხოვრებლების ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების გატანა, გაიწმინდა ქალაქის N1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტყის ტერიტორიაზე ხელოვნურად შექმნილი ნაგავსაყრელი, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზებისა და მგზატკეცილების, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიები. შემოსული განცხადებების საფუძველზე დაგვემატაახალი მომსახურების არეალი. კერძოდ სოფ. წყალტუბოს 28-ე ქუჩა; სოფ: გუმბრის N1 ქუჩა; სოფ: მუხიანის სამხედრო ნაწილის დასახლება; სოფ: ზედა მესხეთის ქუჩა N8; სოგ: გუმბრა პ. გურეშიძის ქუჩა; სოფ: წყალტუბოს სკოლის მიმდებარე ტერიტორია.

მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადმოგვცა 160 ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი რომელიც განთავსებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

სამსახურის საშტატო განრიგი განისაზღვრება 129 თანამშრომლით, მათ შორის ადმინისტრაცია 18; დასუფთავების და ნარჩენების მართვა - 96, ცენტრალური პარკი-15,

ბიუჯეტის ათვისება 2024 წლის III-IV კვარტალში მოხდა შემდეგნაირად:

ხელფასის მუხლში ათვისებულია 699313 ლარი, ასევე 2024 წელს სოციალური დახმარება (ბიულეტინის სახით) ათვისებულია 9343,31 ლარი.

ოფისის ხარჯები ათვისებულია 29847,00 ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯი (ადგილობრივი ტელ. ინტერნეტი და ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯი) ათვისებულია 3098,0 ლარი.

კომუნალური ხარჯებისათვის (ელექტროენერგიისა და წყლის ხარჯი) ათვისებულია 1635,00 ლარი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი ათვისებულია 320175,00 ლარი.

სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი - ათვისებულია 7756,00 ლარი.
არაფინანსური აქტივების მუხლი0 ათვისებულია 90439,00 ლარი

დავით იობიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი